



საფუძველი: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლი.

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

### ანგარიში

2014 წლის პირველი იანვრიდან 2014 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურში (შემდგომში - სამსახური) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 7 (შვიდი) განცხადება. ყველა განცხადების შემთხვევაში, სამსახურის უფროსის 2013 წლის 03 დეკემბრის №75 ბრძანებით დადგენილი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის, სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის ჯაბა ხმაღაძის, აგრეთვე, სამსახურის უფროსის მოადგილის გიორგი ბაბაკიშვილის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შესახებ, შესაბამისად, არცერთი გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ სამსახურში არ მიღებულა. ამასთან, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა სამსახურში არ შემოსულა.

სამსახურში ფუნქციონირებს საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDocument), შესაბამისად, საჯარო მონაცემთა ბაზის შექმნა აღნიშნულ პროგრამაში ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში.

სამსახურში პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და შენახვა ხორციელდება სამსახურის საკადრო უზრუნველყოფის (მათ შორის, ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის (eHRMS) ფუნქციონირების), საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (eDocument) ფუნქციონირებისა და ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფის, აგრეთვე, საკუთრებისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით. ამასთან, სამსახურის უფროსისა და უფროსის მოადგილეების პერსონალური მონაცემები გადაეცა საჯარო ინფორმაციის გაცემის მომთხოვნ ერთ განმცხადებელს.

სამსახურში დასაქმებულების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელი პირისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

სამსახურს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით ხარჯები არ გაუწევია. ამასთან, ვინაიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ სამსახურში გადაწყვეტილება არ მიღებულა და შესაბამისად, არ გასაჩივრებულა, სამსახურს გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ, თანხები არ გადაუხდია.

